22.06.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პირველი სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №3

1. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
თამარ ონიანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნაზი ჯანეზაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შოთა ქადაგიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი პავლაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია მახათაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა (იხ. აქტივობა - 1.1.1.6);

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვა (იხ. აქტივობები - 1.1.4.1.; 1.1.4.2.);

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა (იხ. აქტივობა - 1.1.2.3.);

- ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პრაქტიკაზე ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის განხილვა.

3. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2018 წლის 22 ივნისის პირველი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 5 წევრი: თამარ ონიანი, ნაზი ჯანეზაშვილი, შოთა ქადაგიძე, გიორგი პავლაძე და თამარ პაპაშვილი. კვორუმი შედგა, ჯგუფის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ისაუბრეს წარმოდგენილი პროექტების შინაარსზე და მიზანზე.

ჯგუფის წევრები გაეცნენ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პრაქტიკაზე ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას.

4. პირველი სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

ჯგუფის წევრთა მოსაზრებით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტში[1] შესატანია გარკვეული ცვლილებები. შესაბამისად, სამართლებრივი დეპარტამენტი სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნულ პროექტში ცვლილებების შეტანას.

ამასთან, ჯგუფმა იმსჯელა და მიიჩნია, რომ პროექტის საბოლოო ვერსიის განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე.

[1] პროგრამა 1.1.1-ის მეექვსე აქტივობა.

პირველი სამუშაო ჯგუფისთვის მისაღები აღმოჩნდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტების[2] შინაარსი, მოიწონა იგი და სამომავლოდ დაიგეგმა მისი წარდგენა იუტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე.

ჯგუფის წევრთა გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილება სამომავლოდ პირველი სამუშაო ჯგუფის ფორმარტის ფარგლებში, რომლის შეხვედრასაც შესაძლოა დაესწრონ დაინტერესებული პირებიც.

5. თანდართული დოკუმენტები

- პირველი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 22 ივნისის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები: *თამარ ონიანი*

ნაზი ჯანეზაშვილი

სხდომის მდივანი: *ნინო დემურხანაშვილი*

[2] პროგრამა 1.1.4-ის პირველი და მეორე აქტივობები.

I სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

შეხვედრის ადგილი:	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თარიღი:	22 ივნისი, 2018
დრო:	09:30

განსახილველი საკითხები:

I. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა (იხ. აქტივობა - 1.1.1.6);

II. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვა (იხ. აქტივობები - 1.1.4.1.; 1.1.4.2.);

III. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა (იხ. აქტივობა - 1.1.2.3.);

IV. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პრაქტიკაზე ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის განხილვა.